ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

Empowered lives.
Resilient nations.

პრეს-რელიზი

პარლამენტის და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა ღია პარლამენტის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაზე იმსჯელეს

თბილისი. 2 აპრილი 2018 – **ბიზნეს სექტორის 40 წარმომადგენელი შეხვდა საქართველოს პარლამენტის წევრებს 2018 წლის 2 აპრილს ღია პარლამენტის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის თაობაზე რეკომენდაციებისა და მოსაზრებების წარსადგენად.**

შეხვედრა გაიმართა საქართველოს პარლამენტის ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭოს ინიციატივით, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) თანამშრომლობით.

„საქართველომ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია საკანონმდებლო ღიაობის სფეროში. საზოგადოების ფართო წრეებთან, მათ შორის ბიზნეს სექტორთან, თანამშრომლობა საკვანძო საკითხია ეფექტიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, რომლითაც ჩვენ მომავალი ორი წლის მანძილზე ვიხელმძღვანელებთ“, - განაცხადა **ირინა ფრუიძემ**, პარლამენტის ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარემ.

კახა კუჭავამ, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ, აღნიშნა ბიზნესის როლი ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვაში, რომელიც საპარლამენტო ღიაობას შეუწყობს ხელს.

შეხვედრის მონაწილეებმა ასევე განიხილეს საქართველოს მიღწევები საპარლამენტო ღიაობის საკითხებში 2015 წლიდან დღემდე და 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში აღწერილი გამოწვევები.

“ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს პარლამენტს ბიზნესთან სადისკუსიო სივრცის შექმნის საქმეში. ეს პროცესი დადებით შედეგებს მოუტანს როგორც საკანონმდებლო ხელისუფლებას, ასევე კერძო სექტორს, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პარლამენტის როლი საინვესტიციო კლიმატისა და ბიზნეს გარემოს განვითარებაში,“-განაცხადა **სოფი ჰუე გერიშმ,** საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პროგრამის მენეჯერმა.

პარლამენტის წევრები გაეცნენ საპარლამენტო ღიაობასთან დაკავშირებულ წინადადებებსა და მოსაზრებებს, რომელიც საქართველოს რვა ქალაქში - თელავში, რუსთავში, მარნეულში, ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმსა და თბილისში ჩატარებული საჯარო კონსულტაციების დროს გამოვლინდა. საინფორმაციო კამპანია ჩატარდა 2018 წლის მარტში ევროკავშირის (EU), UNDP-სა და IDFI-ის ხელშეწყობით. **ლევან ავალიშვილმა**, IDFI-ის პროგრამების დირექტორმა, შეაჯამა საჯარო კონსულტაციების შედეგები და სიტყვა მისცა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს დამატებითი რეკომენდაციებისა და მოსაზრებების წარსადგენად.

გიგი ბრეგაძემ, UNDP-ის დემოკრატიული მმართველობის მიმართულების ხელმძღვანელმა საქართველოში, ხაზი გაუსვა თანამშრომლობისა და პარტნიორობის მნიშვნელობას საკანონმდებლო ღიაობის მისაღწევად.

„ღია მმართველობა მოქალაქეებისა და პოლიტიკის შემოქმედთა დაკავშირების ქმედითი საშუალებაა, რომელიც ამ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა პლატფორმასა და რესურსს მიმართავს. მთავრობას, პარლამენტს, ადგილობრივ ხელისუფლებას, არასამთავრობო და კერძო სექტორს, აკადემიურ წრეებსა და

სხვა დაინტერესებულ მხარეებს - ყველას თავისი წვლილი შეაქვს ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის დამკვიდრებაში“, - განაცხადა გიგი ბრეგაძემ.

ღია პარლამენტი ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ნაწილია, რომელიც მსოფლიოს 75 ქვეყანას აერთიანებს. მიმდინარე წელს საქართველო OGP-ის თავმჯდომარე ქვეყნის როლს ასრულებს და 2018 წლის ივლისში OGP-ის მეხუთე ყოველწლიურ სამიტს უმასპინძლებს. ევროკავშირი (EU) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ხელს უწყობენ ღია პარლამენტის განვითარებას მათი უფრო ფართო ინიციატივის ფარგლებში, რომელიც საქართველოში საპარლამენტო დემოკრატიის გამტკიცებას ემსახურება.

საკონტაქტო ინფორმაცია

- ანა გოჩაშვილი, საქართველოს პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსი, +995 599 999908, agochashvili@parliament.ge
- სოფო ჭიჭინაძე, UNDP საქართველო, +995 599 196907, sophie.tchitchinadze@undp.org
- თამარ მიქაძე, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, +995 32 2943763, tamriko.mikadze@eeas.europa.eu
- მერი მახარაშვილი, IDFI, +995 599 500137, m.makharashvili@idfi.ge